ქართველთა და საქართველოში მაცხოვრებელთა საყურადღებოდ

*

რასაც მოგახენებთ, უფლის წყალობით, ჩვენ ამის სრული ცნობიერებაც — სიტყვაც გვაქვს, და ერის უდიდესი უმრავლესობის (1 მილიონ 907 ათასი ამომრჩევლის) მიერ ეროვნული ყრილობით მონიჭებული „დე-იურე", იურიდიულ-სამართლებრივი, და მორალური უფლებაც.

ქვეყანა — ერი, ყოველი მოქალაქე, უმოკლეს ვადებში უნდა მოვემზადოთ (განვეწყოთ) დიდი ცვლილებებისთვის (მალე ყველა ერთად „მოედანზე" ვართ გამოსასვლელი!..).

საქართველოში მართვის არსებული დამღუპველი კაპიტალისტური სისტემის ფორმაციულად შეცვლის შემთხვევაში (რაც საწყისში ითხოვს არსებული ხელისუფლების დროებითი კოალიციური მთავრობით შეცვლას!), შეცვლის პირველსავე თვეებიდან:

1. განისაზღვრება და მოხდება ქვეყნისთვის სტრატეგიული დარგების (ობიექტების, მიწების, წყლის, წიაღისეულის თუ სხვა ქონების) გასახელმწიფოებრიობა — „ნაციონალიზაცია", „დებრივატიზაცია"; წართმეული, ერს (ტერიტორიებით!), უკან დაუბრუნდება.

2. ყოველ პენსიონერს, ომის, შრომის თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურის ვეტერანს, გაეზრდება პენსია და თვეში მიეცემა არანაკლებ 300 ლარი.

ვინც დამსახურებაზე იღებს გაზრდილ პენსიას, მას არსებულზე თვეში დაემატება 150 ლარი (ვისაც ჰქონდა და წაერთვა — აღუდგება პენსიაც, დამსახურებაც, ღირსებაც!);

ყოველ ვეტერან-პენსიონერს მიეცემა (აღუდგება) „შეღავათი" შუქზე, გაზზე და ა.შ.

3. ბანკის ყოველი მოვალე, რომელსაც ბანკიდან აქვს აღებული 1000 ლარამდე - ჩათვლით, გათავისუფლდება ვალისგან;

ვისაც 1000 ლარზე მეტი აქვს აღებული, ვალი გაუნახევრდება;

ვისაც „თავნი" - რაც საწყისში აქვს აღებული, გადახდილი აქვს, მაგრამ იხდის — გადასახდელი აქვს დამატებითი ჯარიმების თუ სხვა სახით, გათავისუფლდება ასეთი ვალისგან.

ვისაც ბანკმა ვალში ჩამოართვა ბინა, სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, ან ჩამორთმევას ექვემდებარება და უბირებენ ჩამორთმევას, სასწრაფოდ გადაიხედება მათი საქმეები და ყველა „უკანონობა" გასწორდება, ანუ უკანონოდ წართმეული პატრონს უკან დაუბრუნდება, მოეხსნება გადასახადი.

გადაიხედება კერძო „იპოთეკარების" საკითხი...

სასწრაფოდ განიხილება ყურადღების მიღმა დარჩენილ ლტოლვილ-დევნილთა საქმეები და გადაიხედება მათი განსახლების თუ დაკავებული საბინაო „ფართების" დაკანონება.

მოწესრიგდება და მოგვარდება ე.წ. „ატსტუპნიკების" დღემდე მოუგვარებელ-გადაუჭრელი საკითხები...

4. ყველა პატიმარი (გარდა განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულისა), თუ „პრობაციონერი" — თავდებით გათავისუფლებული, საყოველთაო ამნისტიით, გათავისუფლდება პატიმრობისგან;

ყოველს მოეხსნება ნასამართლეობა — ცხოვრების თავიდან, „ნულიდან" დასაწყებად.

აუცილებლად, თავიდან გადაიხედება განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულ-დამნაშავეთა საქმეებიც...

5. გატარდება სასკოლო რეფორმა; შეიქმნება ეროვნულ ნიადაგზე მდგომი ახალი სახელმძღვანელოები.

ძირითად უნივერსიტეტებს: ი. ჯავახიშვილის სახელობისას, პოლიტექნიკურს, სამედიცინოს, პედაგოგიურს, სამხატვრო აკადემიას, კონსერვატორიას, უცხო ენებისას, სოფლის მეურნეობისას, ზოოვეტს და ფიზიკური კულტურისას დაუბრუნდებათ სახელმწიფო სტატუსი; დაუბრუნდებათ მათ წართმეულ-გაყიდული შენობები.

ამ უნივერსიტეტ-ინსტიტუტებში სწავლება იქნება უფასო; წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია.

ყოველ პედაგოგს გაეზრდება ხელფასი — ხარისხისა და დამსახურების მიხედვით; უსაფუძვლოდ გათავისუფლებულ-დათხოვნილები აღსდგებიან სამსახურებში...

6. სახელმწიფო დაფინანსებით, აღსდგება ყველა ეროვნული „ინსტიტუტი“: მეცნიერებათა აკადემია — დარგობრივი აკადემიებით, მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა და სხვა შემოქმედებითი კავშირი — უფლებებით; დაუბრუნდებათ მათ წართმეული შენობები, ქონება; აღუდგება ყოველ მეცნიერ-შემოქმედს შებღალულ-„ჩარეცხილი“ სახელი და წართმეულ-დაკარგული ღირსება.

7. მედია (მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) გაიწმინდება ზნეობრივად და გახდება ობიექტური, ეროვნული!

8. სახელმწიფო დაფინანსებით, საგანგებო ყურადღება მიექცევა სპორტის — „ტრადიციული“ სახეობების განვითარებას, ახალგაზრდობის, და მთელი ერის, ჯანმრთელი ცხოვრების ფიზიკურ აღზრდას.

9. უმაღლეს დონეზე ამაღლდება ქვეყანაში სამართლიანობა და მთელი სახელმწიფო იმუშავებს, რომ დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი, ხოლო არ დაისაჯოს და არ დაიჩაგროს უდანაშაულო, მართალი ადამიანი — განურჩევლად მისი ეროვნული, რელიგიური, სოციალური თუ თანამდებობრივი მდგომარეობისა.

10. შუქის - სინათლის გადასახადი, 1 კილოვატზე, შემცირდება 5 — 7 თეთრით.
გაზის გადასახადი, 1 კუბურ მეტრზე, შემცირდება 15 თეთრით;
სახელმწიფო გეგმით მოხდება ქვეყნის უფასო გაზიფიკაცია; უფასოდ დაიდგმება მრიცხველები.
საწვავი გაიყიდება რეალურ ფასებში...

11. ყველა სხვა დარგის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობა-მეფრინველეობის და სხვა მონათესავე დარგების აღდგენა-განვითარებას; სახელმწიფო გამოვა ამ დარგებში „კრედიტორის“ და „ინვესტორის“ — დამფინანსებლის როლში;

სახელმწიფო სოფლად (რაიონებში) ააშენებს პროდუქციის მიმღებ-გადამამუშავებელ ქარხნებს (წვენების, ჩაის და სხვა).

ერს, ხალხს დაუბრუნდება წართმეული მიწები, თუ სხვა ქონება, რომლებიც უცხოელებზეა გაყიდული, გასხვისებულ-გაჩუქებული...

სახელმწიფო შეისყიდის გლეხის მიერ მოყვანილ ნაამაგარს (ყურძენს, ხილს, ბოსტნეულს, ციტრუსს თუ სხვა) — დღევანდელთან შედარებით მშრომელისთვის უფრო რეალურ-მისაღებ ფასებში...

12. საგანგებო ყურადღება მიექცევა ადამიანის (ბავშვის, მოზარდის), ზოგადად — მოლიანი საზოგადოების მორალურ-მაღალზნეობრივ აღზრდა-ჩამოყალიბებას, შებღალულ-შეურაცხყოფილი წარსულის და ეროვნული წეს-ჩვეულებათა აღდგენას და კონკრეტულად: — ქართულ ენას, მამულს, სარწმუნოებას;

აღდგება საბუთებში ეროვნება, მამის სახელი; დაუბრუნდება „თავის ადგილს" გადატანილ-დარღვეული ძეგლები; აღდგება დანგრეული...

13. გასახელმწიფოებრივდება თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფო, აგრეთვე ყველა რაიონის ცენტრალური საავადმყოფო;

აღდგება გაუქმებული პოლიკლინიკები, დაუბრუნდებათ მათ წართმეულ-გაყიდული შენობები, ქონება; აქ მკურნალობა და მომსახურება გახდება უფასო — ძვირადღირებული ოპერაციების ჩათვლით;

გამკაცრდება წამლების ხარისხზე კონტროლი და მათი ფასი საგრძნობლად შემცირდება.

14. მწარმოებელ-გამყიდველსა და მომხმარებელ-მყიდველს შორის „შუამავალი" გახდება სახელმწიფო და საქონლის ზოგადი ფასები მყიდველისთვის გახდება ხელმისაწვდომი; ანუ, სახელმწიფო ორიენტირებული იქნება ფასების შემცირებისკენ, სათანადო „პროდუქციის" — საქონლის გაზრდის ხარჯზე.

გატარდება ფულის რეფორმა — რეალური ეროვნული ვალუტის შექმნა-გამყარების მიზნით.

ქვეყანაში გაქრება უმუშევრობა; პირიქით — დაგვჭირდება მეტი საქმის მკეთებელი; საჭირო გახდება ახალ სპეციალისტთა კადრის მომზადება, „ახალი ადამიანის" აღზრდა-ჩამოყალიბება...

დამოკიდებულება რელიგიასთან, შემოკლებული სახით, დაბეჭდილი გვაქვს გაზეთში, აქ შეგახსენებთ მთავარს:

15. საქართველო რჩება რელიგიური შემწყნარებლობის ქვეყნად და პატივს მიაგებს მსოფლიოში გავრცელებულ ოთხ ძირითად რელიგიას, მათ განშტოებებს, რომელთაც ისტორიული წარმომავლობა აქვთ.

ქრისტიან-მართლმადიდებლობა საქართველოში გამოცხადდება სახელმწიფო რელიგიად.

ეკლესიას — პატრიარქს, მიეცემა უფლება ჩაერიოს საერო საქმეში, თუ სახელმწიფო გადაუხვევს ეროვნული კურსიდან და ქვეყანაში გაატარებს ქრისტიანობისადმი და მართლმადიდებლობისადმი საშიშ პოლიტიკას...

და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია:

16. ერი და ქვეყანა გადავურჩებით ამ გზით, (მსოფლიო მცირერიცხოვანი ერების წამლეკავი გლობალიზაცია-ინტეგრაციის სატანურ-დამანგრეველი კაპიტალისტური სისტემის პირობებში!), დროში განსაზღვრულ გარდუვალ დაღუპვას; ე.ი. ამ სისტემის შეცვლით, ყველა გადავდგამთ ნაბიჯს, გადარჩენისკენ, ჩვენ შვილებს შევუქმნით მშობლიურ მიწაზე მომავალი არსებობის შესაძლებლობას.

— ცოტაა?!.

. . .

ყველა სიკეთეს რა ჩამოთვლის, რომელიც წინ, ახალი სისტემის პირობებში მოგველის, მაგრამ ამჯერად ჩამოთვლილით დავკმაყოფილდეთ.

ნურც ისე წარმოიდგენთ, ჩვენ უსაქმურ-უზრუნველად ვიჯდებით და ამ სიკეთეებს სხვები მოგვართმევენ, ან ერთ დღეში აშენდებით, დაიძინებთ — გაიღვიძებთ და სამოთხეში აღმოჩნდებით, — ისევ

ჩვენი მისახედი, ჩვენი გასაკეთებელი იქნება ყველაფერი, რისთვისაც დაგვჭირდება აზროვნების გასწორება, დამოკიდებულების შეცვლა საგნებზე და მოვლენებზე, ნგრევიდან შენებაზე გადასვლა, წურბელა-დამანგრეველობიდან ქვეყნის პატრონად გარდაქმნა, სიმბოლური გამოთქმით — „სავლეებს" დაგვჭირდება ვიქცეთ „ბავლედ", და ფული ჩავაყენოთ უფლის და ქვეყნის სამსახურში...

მაგრამ, ვიდრე ასეთებად ვქცეულვართ (ამისთვის თაობების აღზრდაც დაგვჭირდება!), საწყისისთვის, სისტემის და ამ ხელისუფლების ახლით შესაცვლელად, ერთ **დაძახილზე მთელი ერი და ქვეყანა ვართ „მოედანზე" გამოსასვლელი!**

გამოვალთ?!.

წავიკითხეთ, გავიაზრეთ, გავიგეთ რისთვისაც დაგიძახებთ და მაინც არ გამოვალთ?!.

ჯერ გადარჩენა, და მერე ამ სიკეთეების მიღება თუ გვინდა, მაშინ ყოველმა იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, ამ დაძახილზე მე თუ არ გავალ, ვინ რას გაიგებს, სხვები გავლენო, არამედ თქვას: — **„სხვა რომც არ გავიდეს, რაც არ უნდა მოხდეს, მე მაინც აუცილებლად უნდა გავიდე!"** და ნათქვამ-საფიქრალს ავასრულებთ კიდეც.

— ჰოდა, ვინც ამ ნათქვამ-ნაფიქრალით მოვა — „მოედანზე" გამოვა, მთელი ეროვნული ყრილობის პრეზიდიუმი და მეც, პირადი პასუხისმგებლობით, გპირდებით:

— არსებულის ახალი, კოალიციური მთავრობით შეცვლის შემთხვევაში, და მხოლოდ ამ შემთხვევაში (რასაც შედეგად ერის საერთო-საყოველთაო „მოედანზე" გამოსვლა მოგვცემს!):

17. ხელისუფლების შეცვლიდან ერთი თვის ვადაში („მოედანზე" გამომსვლელთა სიების დაზუსტებისთანავე!), აქციაზე გამომსვლელ ყოველ მოქალაქეს სახელმწიფოსგან ჯილდოს სახით — „ქვეყნის გადარჩენაში აქტიური მონაწილეობისათვის", მიეცემა 500 ლარი.

ორგანიზატორებს და „მოედანზე" გამომსვლელთა ხელმძღვანელებს („ოცეულების", „ასეულების", თუ სხვა მოთავეებს, „კოორდინატორებს"), „რანგის" მიხედვით მიეცემათ, 600-დან 1000 ლარამდე.

განსაკუთრებულად აქტიური მონაწილეებისათვის გაიცემა სხვა ჯილდოები.

„აქციის" მომწყობ-მონაწილეთათვის, დამზადდება და გაიცემა ორდენები და მედლები: „საქართველოს გადარჩენისთვის" (ან: „ერისა და ქვეყნის გადარჩენისათვის").

უფრო მეტზე მერე ვიფიქროთ...

ეს არის ჩვენი ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი **დიდი ომი — დიდგორიც, შამქორიც, ბასიანიც, მარაბდის და ყველა სხვა ომი ერთად,** საქართველოსა და ქართველი ერის დროში განსაზღვრული გარდუვალი დაღუპვისგან გადასარჩენად!

ეს არის, და იქნება, ჩვენი ერთობლივი ბოლო გაბრძოლებაც. ასეთ დროს ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: „ქუდზე კაცით"; ახლა, ქალსაც და კაცსაც ერთნაირად გვჭირდება ერთმანეთისთვის შეძახება, რომ ბოლო **გადამწყვეტი ომიდან** წაგებული არ გამოვიდეთ...

გამარჯვებისთვის შემართულ ქართველთა „მოედანზე" გამოჩენის მოლოდინში,
თქვენი მსახური —

სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის
პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ქართველი მწერალი:

აკაკი ჯორჯაძე

თბილისი, 9.01.2015 წ.

თხოვნაა: გავამრავლოთ და გავავრცელოთ, რომ ეს მიმართვა ყველა ოჯახში მოხვდეს!
ჩვენი მისამართია: თბილისი, ჩიტაიას №20 ტელ.: (032) 214-58-69
ვებსაიტი: www.axali-sityva.com www.erovnuli-fronti.com